

# ორშაბათი

დრო	საუბრის თემა	მუზეუმის კურატორი	აღწერა
12:00 სთ.	ნეოლითიდან ბრინჯაოს ხანამდე	ნინო ჩხარტიშვილი	საგანმანათლებლო პროგრამის საშუალებით მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებსა და არტეფაქტებს. განხილული იქნება სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდი. გავეცნობით ადამიანის ყოფა-ცხოვრებას უძველეს დროში. მოსწავლეთათვის თვალსაჩინოდ იქნება წარმოდგენილი ძვლისა და ქვის იარაღები, თიხის ქურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის ნივთები, სამკაული. ერთად გავადევნოთ თვალი ათასწლეულების ისტორიას.
14:00 სთ.	ადამიანის ევოლუცია და დმანისის აღმოჩენები	თეონა შელია	დმანისი არის ის გეოგრაფიული ადგილი დედამიწაზე, რომელიც მდებარეობს აფრიკას, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიასა და ევროპას შორის. დმანისის აღმოჩენებმა უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მოგვცა ადამიანის ევოლუციის და განსახლების შესახებ. საუბრისას შევადარებთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალას, რაც წარმოდგენას ქმნის ჩვენი უძველესი წინაპრების შესახებ, რომლებიც ძველი ქვის ხანაში ცხოვრობდნენ.
15:00 სთ.	არქეოლოგიური საგანძური	ანი სახვაძე	ადამიანმა უძველესი დროიდან აირჩია ძვირფასი ლითონი გამორჩეული ნივთების დასამზადებლად. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენაზე „არქეოლოგიური საგანძური“ თავმოყრილია ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული უნიკალური ნივთები, რომელიც გვიყვება საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ადამიანის ყოფაზე, ესთეტიურ გემოვნებაზე, დაკრძალვის ტრადიციასა და კულტურულ კავშირებზე.

## სამშაბათი

დრო	საუბრის თემა	მუზეუმის კურატორი	აღწერა
12:00 სთ.	საუბრები შუა საუკუნეების ხელოვნებაზე	ნინო დათუნაშვილი	<p>ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებას მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ს. ჭანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის „შუა საუკუნეების საგანძურის“ გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ქართული ქრისტიანული ხელოვნების ცალკეულ დარგს და თვალი გავადევნოთ მისი განვითარების გზას.</p> <p>ლექციის ფარგლებში მსმენელი გაეცნობა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ადრექრისტიანული ხელოვნების ნიმუშებს</li> <li>❖ ქრისტიანულ სიმბოლიკას</li> <li>❖ დამწერლობის ისტორიასა და ხელნაწერი წიგნების შექმნის ტექნოლოგიას</li> <li>❖ მინიატურულ მხატვრობას</li> <li>❖ ხუროთმოძღვრებას</li> <li>❖ რელიეფურ ხელოვნებას</li> <li>❖ ხატწერის ისტორიას</li> <li>❖ ხატწერის ტექნიკა-ტექნოლოგიას</li> <li>❖ მონუმენტურ მხატვრობას</li> <li>❖ ნაქარგობის ისტორიას</li> </ul>
14:00 სთ.	დავით კაკაბაძე - XX საუკუნის <i>homo universalis</i> უნივერსალური ადამიანი	ანუკი ჟვანია	<p>პროგრამის მონაწილეები ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის დავით კაკაბაძის მრავალმხრივი შემოქმედების შესახებ ისაუბრებენ და მისი ნამუშევრების მაგალითზე გაეცნობიან მეოცე საუკუნის მხატვრულ აზროვნებაში მიმდინარე მოვლენებს, თვალს გაადევნებენ ამ პერიოდში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა მიმდინარეობებს, მაგ. კუბიზმს, აბსტრაქციონიზმს და სხვ.</p>

			მონაწილეებს საშუალება ექნებათ ვირტუალურად დაათვალიერონ ეროვნული გალერეის ექსპოზიცია. ბოლოს მოსწავლეებს მიეცემათ სახალისო დავალება.
15:00 სთ.	საბჭოთა ისტორიიდან - უღმერთო სახელმწიფო	ბესიკ ლორთქიფანიძე	ლექციის ფარგლებში განხილული იქნება ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომი პერიოდი, გამოყენებული იქნება საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში დაცული ისტორიული წყაროები რელიგიების დევნის შესახებ. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ იმსჯელონ XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის მიზანმიმართულ ქმედებაზე ე.წ. „ახალი საბჭოთა“ ადამიანის შექმნის პროცესზე, ანტირელიგიურ პროპაგანდასა და ორგანიზაციაზე „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“.

## ოთხშაბათი

დრო	საუბრის თემა	მუზეუმის კურატორი	აღწერა
12:00 სთ.	კავკასიის ბიომრავალფეროვნება	ვერიკო ფხაკაძე	წარმოგიდგინთ ვირტუალურ ტურს, სახელწოდებით: „კავკასიის ბუნება“. პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნობიან ექსპოზიციაზე წარმოდგენილ მინერალებს, ქანებს, ნამარხ უხერხემლო ცხოველთა ფაუნას, მცენარეების საჰერბარიუმო ნიმუშებს, მოლუსკებს, მწერებს, თევზებს, ამფიბიებს, ქვეწარმავლებს, მტკვრის ქალის ტყის ფონზე წარმოდგენილ თურანული ვეფხვის და გარეული ტახის ფიტულებს, საქართველოს ტბებისა და ქაობების ორნითოფაუნასა და მდ. ვერეს პანორამის ფონზე წარმოდგენილ ძუძუმწოვარ ცხოველთა მრავალფეროვან კოლექციას, რომელთა შორისაა ენდემური (ადგილობრივი), რელიქტური (შორეული წარსულის გადმონაშთი), გადაშენებული ან გადაშენების პირას მყოფი და სხვა იშვიათი სახეობები.

14:00 სთ.	ქართული იარაღ-საჭურველი	მამუკა ქაფიანიძე	<p>მსმენელები გაეცნობიან XVII საუკუნიდან XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართული იარაღის სახეობების მნიშვნელოვან ნაწილს. ყურადღება გამახვილდება იარაღის განსაკუთრებით გავრცელებულ სახეობებზე, რომლებიც ქართულ-კავკასიური ტექნოლოგიით არის დამზადებული.</p> <p>ვისაუბრებთ ასევე ქართველ მეფე-მთავართა მემორიალური ტიპის ექსპონატებსა და მე-18 საუკუნის თბილისში ჩამოსხმულ ზარბაზანზე.</p>
15:00 სთ.	შუა საუკუნეების ხელოვნება	ქეთი სხილაძე	<p>შეხვედრა უკავშირდება გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილია შუა საუკუნეების ქრისტიანულ კულტურის ნიმუშები. მათ შორისა: ბიჭვინთის მოზაიკა, ადრეული ქვასტელები ასომთავრული წარწერებით, სვეტიცხოვლის გარდამოხსნა, ხელნაწერთა შესაქმნელად აუცილებელი საწერი მასალა, უბისის მონასტრის ხატების კოლექცია, ხეზე კვეთის ნიმუშები, პირველი ქართული ნაბეჭდ წიგნები და სხვ.</p> <p>საუბრის თემა იქნება საქართველოს გაქრისტიანება, ქართული კულტურის როლი მსოფლიო ქრისტიანული სამყაროს კონტექსტში.</p>

## ხუთშაბათი

დრო	საუბრის თემა	მუზეუმის კურატორი	აღწერა
12:00 სთ.	არქეოლოგიური საგანძური	ქეთინო ჯანყარაშვილი	<p>ადამიანმა უძველესი დროიდან აირჩია ძვირფასი ლითონი გამორჩეული ნივთების დასამზადებლად. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენაზე „არქეოლოგიური საგანძური“ თავმოყრილია ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული უნიკალური ნივთები, რომელიც გვიყვება საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ადამიანის ყოფაზე, ესთეტიურ გემოვნებაზე, დაკრძალვის ტრადიციასა და კულტურულ კავშირებზე.</p>
14:00 სთ.	ფიროსმანის შემოქმედება	მარიამ დვალი	<p>საუბარი გვექნება ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ქართველ თვითნასწავლ მხატვარზე ნიკო ფიროსმანაშვილზე. იგი</p>

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

			<p>მხატვრად იყო დაბადებული. მისი ცხოვრების აზრს მუდამ წარმოადგენდა მხოლოდ მხატვრობა, რომელიც გატაცებით უყვარდა და რომელსაც მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება.</p> <p>მოკლედ მიმოვიხილავთ მის ბიოგრაფიასა და იმ დროის თბილისს. განვიხილავთ საქართველოს ეროვნული მიზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან მხატვრის რამოდენიმე ნამუშევარს.</p>
15:00 სთ.	შუა საუკუნეების ხელოვნება	ნინო გიორგობიანი	<p>საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში თავმოყრილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სამხატვრო ცენტრებში მაღალმხატვრული ოსტატობით შექმნილი ლითონმქანდაკელობის, ქვაზე კვეთილობის, ხის მხატვრული დამუშავების, ხატწერისა და ნაქარგობის გამორჩეული ნიმუშები. მათზე დაკვირვებით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ამ დარგების განვითარების უწყვეტ ხაზს, რომელიც იწყება წინარექრისტიანული ეპოქიდან და გრძელდება შუა საუკუნეებში. ქრისტიანული სწავლება ფორმას ახალ შინაარსს სძენს და გამორჩეული ესთეტიკური ხედვის, მხატვრული მსოფლგანცდის დამოუკიდებელ ფენომენად აქცევს. სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით წარიმართება ლექცია სიმონ ჭანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების საგანძურის ექსპოზიციიდან საგანგებოდ შერჩეული რამოდენიმე ექსპონატისა და მისი ისტორიის მაგალითზე.</p>

## პარასკევი

დრო	საუბრის თემა	მუზეუმის კურატორი	აღწერა
12:00 სთ.	იაკობ ნიკოლაძე	რუსო მერაბიშვილი	გავიცნობთ, შევისწავლით და თავიდან აღმოვაჩინთ იაკობ ნიკოლაძის პიროვნებას და მის შეუდარებელ ქმნილებებს არა მხოლოდ საექსპოზიციო სივრცეში, არამედ ჩვენი დედაქალაქის ქუჩებშიც. ერთად გავცეთ პასუხი მრავალ საინტერესო კითხვას - მათ შორის თბილისში როდენის ქუჩის არსებობის შესახებ.
14:00 სთ.	ქართული სამოსი	გულიკო კვანტიძე	პროგრამის ფარგლებში საუბარი იქნება უნიკალური ქართული კოსტუმების შესახებ, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ატარებდნენ XVIII, XIX და XX საუკუნის დასაწყისში. ასევე განხილული იქნება

			საქართველოს კუთხეები და განსხვავებული ქართული სამოსი, მათი ელემენტები, სახელწოდებები და აშ.
15:00 სთ.	ანდრე ჟიდი და ქართველი მწერლები	დალი იაშვილი	ლექციაზე განხილული იქნება კომუნიზმით გატაცებული ფრანგი მწერლის საბჭოთა კავშირში 1936 წლის მგზავრობა. იგი, სტალინის თხოვნით, საქართველოსაც ესტუმრა. მას ბერიაშვილმა მასპინძლად პაოლო იაშვილი და ტიცუან ტაბიძე დაახვედრა. ფრანგი მწერალი საბედისწერო სტუმარი აღმოჩნდა ქართველი მასპინძლებისათვის.